ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ 2020-2021 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

2020-2021 წლის სასწავლო წლის ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მუშაობის ძირითად ორიენტიერს წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის აქტიური მხარდაჭერა თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებასა და არაფორმალურ განათლებაში ჩართვის მიმართულებით.პედაგოგიურ კოლექტივს კარგად აქვს გაცნობიერებული რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მუშაობა მოზარდების მრავალმხრივი ინტერესების გათვალისწინებაზე და დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული, აქედან გამომდინარე შეიქმნა შემოქმედებითი და საგნობრივი წრეები, სადაც ონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილია გაერთიანებული.

1.ანსამბლი „ბიჭუნეები“-ხელმძღვანელი ირემა ჯაფარიძე

2. ფანდურის წრე-ხელმძღვანელი თამარ ხუციშვილი

3.ანსამბლი „ანა-ბანა“-ხელმძღვანელი მაია ლობჯანიძე

4.ლიტერატურულ-დრამატული წრე-ხელმძღვანელი ლალი ჩიხრაძე

5.ინგლისურის წრე-ხელმძღვანელი ნათია თაბაგარი

6. მათემატიკის წრე-ნინო მეტრეველი

7. მხარეთმცოდნეობის წრე-გია ბერიშვილი

8. ჭადრაკის წრე-ზვიადი ბერიშვილი

ამ წრეებში წრის ხელმძღვანელად შერჩეული არიან უმაღლესი და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას და ცოდნას მონდომებით და პროფესიონალურად გადასცემენ აღსაზრდელებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში რვა წრე ფუნქციონირებს.

1ანსამბლი,,ბიჭუნეები'' ი.ჯაფარიძე.უმაღლესი განათლება.(ლოტბარი)

2. ანსამბლი ,,ანა-ბანა''-მ.ლობჯანიძე.ი.გოგებაშვილის სახელმწიფო სასწავლებელი.მუსიკალური აღზრდის პედაგოგი.

3.ფანდურის წრის -თ.ხუციშვილი.შ მილორავას მუსიკალური სასწავლებელი.ხალხური საკრავების მასწავლებელი.

4.მხარეთმცოდნეობის წრე. გ. ბერიშვილი. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.პედაგოგი.

5.ჭადრაკის წრე. ზ.ბერიშვილი.ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.მასწავლებელი.

6.მატემატიკის წრე. ნ. მეტრეველი. ი.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნუვერსიტეტი.პედაგოგი.

7.ლიტ.დრამატული წრე. ლ. ჩიხრაძე. ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტი.ბიბლიოტეკარი.

8.ინგლისურის წრე. ნ. თაბაგარი. ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტი.პედაგოგი.

წრეების მუშაობის სრულყოფილად წასამართავად მეცადინეობები წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული თემატური გეგმის მიხედვით, მიმდინარეობდა. რომელიც ყოველთვიურად შედგა თითოეულ წრეში..

თემატური გეგმები პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ და დავამტკიცეთ. 2020 სასწავლო წლის 6 სექტემბერს.

პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით შევადგინეთ ალტერნატიული გეგმები და სასწავლო პროცესი ახლებურად გააზრებული პროგრამებით დავიწყეთ.შეძლებისდა გვარად ვიხილავდით სასწავლო წლის განმავლობაში თემატური გეგმების შესრულების მდგომარეობას.

სასწავლო წლის დაწყებამდე შემოტანილი,დამუშავებული და დასაწყობებული იქნა საშეშე მერქანი.საკანცელარიო და სადეზინფექციო საშუალებები.მოწესრიგდა სამეცადინო ოთახები. სასწავლო წელი შეძლებისდაგვარად ორგანიზებულად დავიწყეთ: ნოემბრის თვეში ჩატარდა პოეზიის საღამო სადაც ლიტერატურულ დრამატულ წრის ბავშვებმა წარმოადგინეს

ქართული პოეტების ლექსები.ჩატარდა მშობელთა კრება.მშობლებმა და წრის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს პანდემიით შექმნილ გამოწვევებზე და ახალ რეგულაციებზე.

საახალწლო ზეიმმა ძალიან გაახარა ჩვენი ბავშვები და არა მარტო ჩვენი ბავშვები. მოწვეულმა სტუმრებმაც ძალიან ისიამოვნეს და ბოლოს ყველას დაურიგდა საახალწლო საჩუქრები.

14 იანვარს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ქართული თეატრის დღე აღინიშნა.ლიტერატურულ დრამატულ წრეში გამოუშვეს კედლის გაზეთი

8 თებერვალს მხარეთმცოდნეობის წრეში ტრადიციული სემინარი ჩატარდა,რომელიც უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას და დავით აღმაშენებლის ღვაწლს მიეძღვნა.

8 მარტის დღის აღნიშვნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ზეიმით აღინიშნა.მოსულ სტუმრებს შემოქმედებითმა წრეებმა ლამაზი დღე აჩუქეს .შემდეგ მოეწყო ალაფურშეტი და საჩუქრების გადაცემა.

სამწუხაროდ გამწვავებულმა პანდემიამ დაარღვია სასწავლო პროცესის ჩვეული რეჟიმი და ღონისძიების მოწყობის გრაფიკი.მიუხედავად ამისა ბავშვთა მსოფლიო დღე 1 ივნისი მოსწავლე-ახალგაზრდობის აივანზე ,,ანა-ბანას ‘’ კონცერტით აღინიშნა.

მაისის და ივნისის თვეებში მხარეთმცოდნეობის წრის წევრები და ჩვენი წრეების ხელმძღვანელები ექსკურსიებზე იმყოფებოდნენ შქმერში,ქუთაისში-ბაგრატის ტაძარზე,გელათზე,მოწამეთაზე და გოგნიზე სადაც ეროვნული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით იმყოფებოდნენ .ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ბავშვების თვითრეალიზებას ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში.ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას.შემოქმედებითი უნარ ჩვევების ჩამოყალიბებას ანალიტიკური უნარ ჩვევების განვითარებას საქართველოს და რელიგიის ისტორიის შესწავლას.

2021 წელს მოსახლეობის მომსახურეობის გასაუბჯობესებლად გამოყოფილი იყო ღონისძიებებში1800 ლარი. აქედან სრულად არ ჩატარდა ღონისძიებები და შესაბამისად არ იყო შემოსავლები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წინაშე კვლავ რჩება გამოწვევები ახალგაზრდობის არაფორმალური განათლების უკეთესად დაგეგმვის და განხორციელების საქმეში.

საქმიანი იყო პედაგოგიური საბჭოს მუშაობა,ჩატარდა 3 პედაგოგიური საბჭოს სხდომა,სადაც პედაგოგები მსჯელობდნენ არაფორმალური განათლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადება გაზაფხულიდანვე დავიწყეთ.

პანდემიის გამო რამოდენიმე დაგეგმილი ღონისძიება ვ ერ ჩავატარეთ.მოვახდინეთ გამონთავისუფლებული თანხების აკუმულირება და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ერთ ნაწილში სარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ.ბავშვებს ნათელი,სუფთა სამეცადინო ოთახები და სველი წერტილები დავახვედრეთ.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კიდევ ბევრია გასაკეთებელი.შენობის ფართობი შესაბამისობაში არ არის წრეებისა და ბავშვთა რაოდენობასთან,რაც სერიოზულ პრობლემებს ჰქმნის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დროს.შენობის მეორე ნახევარი აუცილებლად საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს,მთლიანად შესაცვლელია მუსიკალური საკონცერტო აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები:კომპიუტერები, რომელიც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის საგნობრივი წრეებისა და შემოქმედების წრეების მუშაობას.

დირექტორი ნაზიბროლა გავაშელი